ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი





№ 6

## „მ ე რ ა ნ ი"

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოთ
ჩემი მერანი!"
ყურთა მესმიან საქართველოს გულის ძგე-
რანი!
გასწი მერანო! შენს ქენებას არ აქვს „პრე-
დელი"
და ააყენე შენებურათ კორიანტელი!
გასცურე წყალი, გასტოპე ლაფი,
ნუ შეგაშინებს ნურცარა მტვერი
გასწი, გაჰკურცხლე, შენგან ხსნას ელის
დამონებული ქართველი ერი.
სადაც გამითენდეს, იქ დამიღამდეს.
იქ იყოს ჩემი მიწა მამული!
სამშობლოს უნდა დაეზვარაკოს,
ჩემი სიცოცხლე, სული და გული.
სამშობლოთ მიწამ მინდა მიმიღოს
ჩვენთა წინაპართ საფლავებ შორის,
არ მსურს დაკარგვა მამულისათვის
მერანო ჩემო, არც შენი მძორის!!
ვინ იცის ეს გზა ჩვენსა შემდგომად
რამდენმა ჰუნემ გამოიქროლოს!
რამდენი ჩემი მსგავსი მხედარი,
ბედისა წერამ გადმოისროლოს.
გასწი მერანო! შენს ქენებას არ აქვს
სამზღვარი.
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი სწორ შეუდარი
აჩრდილი.





„გასწი მერანო! შენს ქენებას არ აქვს სამზღვარი!!

# ახალი ამბავი.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაადგინა: -გამოიცეს ძვირფას ყდაში და ოქროს ასოებით, შესანიშნავი ,,მოგონებანი ილიას შესახებ'' იროდიონ ევდოშვილის. წიგნი დასურათხატებული იქნება. ეს საქმე უკისრია ჩვენს პატივცემულ თანამშრომელს ,,ეშმაკს''.

* *
*

გუშინ წინ ნიკოლოზ შავროვსა და მამა გოროდცოვს, ერთსა და იმავე დროს, სასიამოვნო სიზმრები უნახავთ. სახელდობრ ისა, რომ მესამე დუმის თავმჯდომარეთ ჩვენებური რუსი ტ-მოშკინი აერჩიათ. ორივენი მართლმორწმუნენი არიან და სჯერათ, რომ ეს სიზმარი ამაოდ არ ჩაივლის. ამის შესახებ ხვალ პატრიოტები მისიონერთა ეკლესიაში პარაკლისს გადაიხდიან.

* *
*

ახლო მომავალში გამოვა კიდევ შვიდი ,,იუმორისტული'' კარიკატურებიანი ჟურნალი.

* *
*

ცნობილი კარიკატურისტი გიორგი ზაზიაშვილი, როგორც გადმოგვცეს, ,,სიმპლიცისიმუსის'' მთავარ რედაქტორათ მიუწვევიათ, რასაკვირველია მხატვრობის მხრივ.

* *
*

სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ჩვენი თანამშრომელი ,,ეშმაკი'' ამ კვირია პროვინციაში არ წასულა, რის გამოც ამ ნომერში არაფერია მისი მოგზაურობიდან.

* *
*

,,ეშმაკის მათრახის'' რედაქციამ უკვე აცნობა თავის თანამშრომლებს, რომ ის წერილები, რომლებიც ოთხშაბათს შემდეგ მოვა რედაქციაში მეორე კვირემდე აღარ დაიბეჭდება, ხოლო ოთხშაბათამდე მოსული კი იმავე კვირაში.



# სიზმრის ახსნა.

1) **მათრახის კუდი იხილო მარჯვეთ მოქნეული**— ავია: ჟამსა რომელსა, მხილველისა წილ, სიზმრისა ამისა ხილვა მოასწავებს სატკივარსა ფრიად მძიმესა, რომელსა ვერ გაჰკურნვენიან ჯანიოზნი ვერავითარნი. მწერლობისა წილ სანახაობა ესე მოასწავებს მოვლინებას ახალისა საკარიკატურე ჟურნალისასა, ზურგ ამწვართა მიერ შედგენილისა.

2) **პარტარძალი ნახო შავით მოსილი ლაწვებითა წითელ ფეროვანითა**— ავია: სანახაობა ესე არს მესამისა ჟამისა და მოასწავებს მესამესა დუმასა, რომელიც შავითა აზრითა მოსილი გაურბის ყოველსა წითელსა, თვინიერ სისხლისა.

---

## რა ჭრელია ეს ქვეყანა!

ხედავ: დღეა სხივოსანი!..
ხარობს, ბრწყინავს ცის ლაჟვარდი,
გულს იმედი იფურჩქნება,
ჰქრება სევდა, ჰქრება დარდი!.
მაგრამ აი, გაპირქუშდა,
ჩამობნელდა ცის ლაჟვარდი,
იმედს ფრთები შეეკვეცა,
გულს კვალად ღრღნის სევდა დარდი!
ვხედავ ამას,
ვფიქრობ თანა:
„რა ჭრელია ეს ქვეყანა!!''
ზოგჯერ თითქო!..სხივი მზისა
საოცნებოთ კაზმავს მდელოს
და ბუნება მხიარული
სვამს მნათობის სადღეგრძელოს!
მაგრამ აი, სხივი მზისა
თითქო გზაზე გაიყინა,
გაიძარცვა მინდორ-ველი
და ცხოვრებამ მიიძინა!!!
ვხედავ ამას
ვფიქრობ თანა:
,,რა ჭრელია ეს ქვეყანა!!''
ხედავ გრგვინავს ქარიშხალი,
შავი ნისლით ბურავს ზეცას
ველარ არჩევ მის გუგუნში
მდიდართა ლხინს, ჩაგრულთ კვნესას!
მაგრამ ჩადგა ქარტეხილი,
აღარ ისმის მისი გრგვინვა
და აშკარათ გესმის ყურში
მდიდართ ლხინი, ჩაგრულთ გმინვა!
ხედავ ამას
ფიქრობ თანა:
,,რა ჭრელია ეს ქვეყანა!''
აი ვხედავ ხალხის მუშაკს,
აზრით სწვდება მთელ სამყაროს,
ცდილობს: ძმობა-მეგობრობა
ყვეყანაზე დაამყაროს,
მაგრამ აი, შხამით სავსე
ბოროტებას სთესს იუდა,
რომ აღმოფხვრას წმინდა გრძნობა
მის ბოროტ გულს აგი უნდა.
ვხედავ ამას,
ვფიქრობ თანა:
,,რა ჭრელია ეს ქვეყანა!''

**სხივი.**

---

## ხაზეინთა შორის.

**ადელხანოვი.** ადელხანოვს გადაუწყვეტია: 10 წლით განაგრძოს ლოკაუტი. იმედი აქვს ამ ხნის განმავლობაში მუშები დაივიწყებენ ძველ „სჩოთებს“ და სადა... ჩემთან აღარაფერი ექნებათო.

„კახეთი“. კახეთის საზოგადოების გამგეობას დაუდგენია: სარდაფში მოსამსახურეებს ამიერიდან ასე მიმართონ:

„კნიაზო პრობკები დაალბეთ''

,,კნიაზო ბოთლები გარეცხეთ''

,,კნიაზ-ჯან სარდაფში ნუ დაითვრებით''

,,კნიაზო მობრძანდით ჯამაგირი ინებეთ''. მიზანი ასეთი თავაზიანობისა ის გახლავთ, რომ მოსამსახურეებმა თავი მართლა მუშებათ არ მიიღონ და მუშურათ არ მოგვექცენო.

„ხერხი სჯობია ღონესა
თუ კაცი მოიგონებსა!''

**ლიმონათის ქარხნები.** ლიმონათის მექარხნეებმა გამოუცხადეს მუშებს: ,,რადგანაც ჩვენი ვაჭრობის სეზონი თავდება, პირველი ნოემბრიდან მიბრძანდით და ეს ზამთარი ისეირნეთო''.

მუშებმა თურმე უპასუხეს: ,,ამ ზამთარში რა დროს სეირნობაა, თქვე დალოცვილებო! თუ ასე გინდათ ჩვენი პატივისცემა, ახლა ვიმუშავებთ და ზაფხულში გვასეირნეთ ერთი ორი თვე, როცა სეირნობასაც გემო და შნო აქვსო''.

**მებაღეები.** თფილისის მებაღეებმა მისწერეს ს. დ. ორგანიზაციას: ,,თუ დაგვეხმარებით მუშებთან ბრძოლაში, ორგანიზაციაში შემოვალთ და მუშებზე მეტ ფულებსაც შემოვიტანთო.

ეს ამბავი „ფედერალისტებს“ ჩასწვდათ ყურში და მიუწერიათ: ,,ჩვენთან მობრძანდით თქვენი ჭირიმე, პარტიაში ბევრი თავისუფალი ადგილი გვაქვსო''.

## მუშათა შორის.

**სარაჯევის ქარხანა.** სარაჯევის ქარხნის მუშებს (ვ... რაზე) დაუდგენიათ: აღარ შეეკითხონ აღარც ... ბებელს, არც კაუცკის, არც პლეხანოვს და ... შემდეგისათვის უარყონ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ბრძოლა. ა... ამასთანავე გამოირკვა, რომ პოლიტიკური ბრძოლა მათ არასოდეს არა ჰქონიათ ... და ეკონომიური ბრძოლაც მათ მაგიერ ყოველთვის სხვებს უწარმოებია. ამიტომ გამოსულან პროფესიონალური კავშირიდან და შეტანილი ფულებიც უკანვე მოუთხოვიათ.

---

# კვირიდან-კვირამდე.

მართალია, იმ დროს როცა გაზეთი ,,კვალი'' გამოდიოდა კითხვა მეც ვიცოდი, ერთი ორჯერ მისი კორექტურაც კი შემისწორებია, მაგრამ მაინც ვერ მოვჯაყავ ,,კვალს'' და კვალელებს და ვერ ვიტყვი რასაც ,,ეკალის'' მეშაბათე ამბობს ,,ერთ დროს ,,კვალში'' ვხნავდითო''.

მაშ ეგრე, ამ სათაურით პირველად ვიწყებ წერას, და თუ თქვენი თავი კარგად მიმყოფა ყოვლის შემძლე გენერალ-გუბერნატორმა, და ჩემი თავიც არ მოგიშალათ აწიც ვეცდები დრო დაგიკარგოთ და რაც მოხდა ერთი კვირის განმავლობაში მოგაგონოთ ხოლმე.

* * *

ამ კვირაში ოზურგეთი, ეს სამჯერ მომწვარი ოზურგეთი, მამა დავითის სადეკანოზო ქალაქი, ნიკოკის საპრასედნიკო ადგილი და დიმიტრი-კოწიას სანადირო, საალღუმო მოედანი საგუბერნიო ქალაქათ გადააქციეს, გენერალ-გუბერნატორათ ტოლმაჩევი დანიშნეს. ეს ბრძნული განკარგულება მე, როგორც ეშმაკის ერთგულ მოციქულს, ძრიელ მომეწონა მისი სამართლიანობით. ნათქვამია ძაღლი იმან უნდა დამარხოს, ვინც დაარჩოო!“ და აი სწორეთ ოზურგეთსაც ამ ანდაზის თანახმათ უკანასკნელი წესიც იგინმა უნდა აუგოს.

ბედნიერი ოზურგეთი! ხედავთ რას ეღირსა!? საწყალი დაბა ყვირილა! რამდენი წელიწადია ყვირის „პოსადათ“ გადამაკეთეთო, მაგრამ არავინ ისმინა, ალბათ იმიტომ რომ ოზურგეთი სამჯერ გადამწვარია, ყვირილა კი ერთხელ. ან კი რა შედარებაა, სად ოზურგეთის ქირისუფლები და სად ყვირილის, ყვირილის მხოლოდ ყვირიან, ოზურგეთის კი ფუჩუნობენ, არავის არაფერს არ კითხავენ მე-13 ცხოველივით გამოხტებიან. გზის პრაგონსაც არავის სთხოვენ ისე წავლენ და წამოვლენ; მაგალითისთვის ავიღოთ კრილოვის დეკანოზი დავითი თავისი ღირსეული სულიერი შვილებით ფარულად, მთელი მაზრის მაგიერ, ეხლა ნამესტნიკს და ითხოვა მაზრის მკრეჭელათ ისევ ერმოლოვი. ნამესტნიკს მართალია დავითი და დავითისტები არ მიუღია, მაგრამ დავითიანი მაინც ისმინა და ერმოლოვს ტოლმაჩევიც „დაუდავესკა“ გენერალ-გუბერნატორათ. ყოველივე ეს დავითმა ისე მოაკვარაჭინა, რომ მისი მარჯვენის ნაქნარი სიკეთე მარცხენას არ გაუგია, რა არის საქვეყნოს მადლი არავინ მითხრას და საიქიოს ზენარი ჯილდო არ დამიკარგოსო. ჩვენც მეტი რა გვეთქმის, ,,რაც მოგივა დავითარ, ყველა შენი თავითაო!''.

* * *

ოზურგეთი რომ გაბედნიერდა, ეს ხომ ძრიელ სასიამოვნო არის მაგრამ არ ვიცი ვის იამება გვაზავასაგან, კინაღამ წამომცდა ხულიგანების დაცვა მეთქი.

ბ-ნ გვაზავას ვინ არ იცნობს, გვაზავა პოეტი, გვაზავა ვექილი, გვაზავა ლექტორი, გვაზავა დამცველი პოლიტიკურ დამნაშავეებისა, (დამცველი თ. სახოკიასი) გვაზავა ფედერალისტი. აი ვინ არის გვაზავა და აი ამ კვირაში თავისი გვაზავობა სავსებით ,,გამოაზავა'', ,,ვინაიდგან ვარდთა და ნეხვთა მზე სწორედ მოეფინების'' დაიცო იმერეთში კარგად ცნობილი პოლიციის ბოქაული (პრისტავი) ფ. კედია. კედიას სამოსამართლო პალატა ამტყუნებდა უფლების გადაჭარბებაში, ესე იგი ცემა-ტყეპაში და ლანძღვა-გინებაში. აბა თქვენგან არ მიკვირს, ვინ პოლიციის პრისტავი (მერმედ კედია!!) და ვინ ცემა-ტყეპა და ლანძღვა-გინება, აბა რა დასაჯერებელია! ეს სულ წყეული რევოლიუციონერების ბრალია, რომლებიც პატიოსან, წესიერების დამცველს შეურაცყოფას აყენებენ და სახელმწიფო საქმის შესრულებაში ხელს უშლიან. ეს ყველაფერი ბ-ნმა გვაზავამ თავისი ოქროპირის ენით დაუმტკიცა სასამართლოს და პრისტავი კედია თოვლივით თეთრი და მტრედივით უმანკო გამოიყვანა. ბ-ნ გვაზავამ დაამტკიცა, რომ პრისტავი კედია მახარაძის ტყუპის ცალი, ქიათურის ლინჩა ხელით არავის შეხებია და სიტყვით არავინ ცუდათ არ მოუხსენებია. მეტი რა გვეთქმის თუ არ ,,ასე ჩვენო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!''.

**აბრადინი.**

---

### სამი მგელი.

ოზურგეთს ყავს სამი მგელი:
ტუჩ მოკლე და წვერებ გძელი
ერთმანეთს ეუბნებიან:
დვაბზუს არის ერთი ღვდელი,
ერთმა თავსა დავურბინოთ
ორმა გავკრათ კაბას ხელი
პატრონს კაცი მიუგზავნოთ
ფული თუ გაქვს დასახსნელი.

№

---

### ქუთაისით მონაწერი.

პირველ ნოემბრიდან არქიელის გორაზე იხსნება სამაგალითო პირველ-დაწყებითი სკოლა, რომელშიაც სპეციალურად შეასწავლიან ქორებს. დიდი ხანია ქალაქი ასეთი სკოლის მოთხოვნილებას გრძნობს, მაგრამ დღემდე, როგორც ხედავთ სურვილი სურვილათ რჩებოდა. სწავლა უფასო იქნება. მიიღებიან ყველანი განურჩევლათ წლოვანებისა, სარწმუნოებისა, წოდებისა, ეროვნებისა, სქესისა, პარტიული რწმენისა და სხვათა. მიიღებენ აგრეთვე მონაზონებსა და ბერებსაც. თხოვნებს იღებს მომავალი გამგე სკოლისა სიკინჭილაძე. მასწავლებლებს შემდეგ მოგახსენებთ.

* * *

დაარსდა ახალი კლუბი. წევრებათ იღებენ ყველას განურჩევლათ ყველაფერისა, **გარდა პარტიული რწმენისა**. უნდა ეკუთვნოდე პატრიოტთა პარტიას, ან მონარქისტთა ჯგუფს. სხვებს იჭერენ.

* * *

ხოჯევანოვის პროგიმნაზიაში განსაკუთრებულის ყურადღებით ასწავლიან ფეხის გაწმენდას, ყოველი მოსწავლე (და აგრეთვე გარეშე პირიც) ვალდებულია თან იქონიოს პერანგის, ან ბალიშის პირის ნაგლეჯი, რომლითაც პრაქტიკულათ ვარჯიშობენ მოსწავლეები.

* * *

ქუთათური გამოცანა. სათავად აზნაურო გიმნაზიის პირველი კლასის მესამე პარალელურ განყოფილებაში მოსწავლეებს ასეთი ამოცანა მისცეს: ,,ბალის ქუჩაზე რაც დამპალი კატები ჰყრია, ის რომ ქალაქის ხმოსნებსა და სანიტარებს გაუნაწილოთ თითოს რამდენი შეხვდებათო''. ვერც ერთმა მოსწავლემ ამოცანა ვერ გამოიყვანა, რადგან არ იცის არც ხმოსნებისა და არც სანიტარების სრული რიცხვი, რის გამოც ვერ გაუყვია 428 მკვდარი კატა მათ შორის.

* * *

მასწავლებლის ადგილის შოვნა ზემოხსენებულ სასწავლებელში ძლიერ ადვილია თუ რასაკვირველია რომელიმე ეპისკოპოზის მიერ ხელთა გაქვს კეთილ საიმედობის ბარათი. მაგრამ ამის შესახებ უკეთესად იონა და მამა ალექსანდრე მოგიყვებიან.

**ბახრი.**

---

### გამოცანები.

(ლანჩხუთისათვის)

1.

იკომბორო წვერ წითელი,
ეძახიან ყარამანს
საქმეს არას გაგიკეთებს
თუ არ მისცემ თეთრ-თეთრ მანათს

მელიდურათ დააბიჯებს
თითქოს იყოს თათრის ხანი
ხან მასაც კი წამოცთება
„ვირს დარჩა მოედანი".

2.

თავს იხოვს და წვერს იპარსავს
წელში ძალზე მოხრილია
ხალხის ტანჯვა, გაწვალება
მისთვის ლხინი, ქორწილია.
ქრთამი სადაც დაიძვრება,
თურმე ყველა მას მიაქვსო
ბოქაულსაც ძლიერ უყვარს
ბედნიერი ხელი აქვსო.

ვინც ვერ იცნობთ გაუფრთხილდით
(საპატიო აგენტია)
მარტო ჯურუყვეთში გასცა
ბარე ათი თორმეტია.

ლიანჩხუთში იხვეწებიან
ჩვენ გვეყოფა პირიათ,
ვინ ხარ ყაცი, მოგვაშორეთ
ეგ ოხერი სირიათ.

(ფოთელებისთვის).

ხელში კეტი, თავში რეტი
მოქიშპეა ესდეკების,
აღარც სხვისსა დაიჯერებს
არცა თვისი გაეგების
პუბლიცისტი, ისტორისტი,
მეცნიერთა სადარია,
როგორც ნახავ მყისვე იცნობ
ფოთელების „მედგარია".

შხანკოლა



ბათუმის მოტაცება.

# ფოთი და ბათუმი.

ფოთმა გასძახა ბათუმსა:
ადგილი დამიცალეთ,
ან უნდა შემოგიერთო,
ან სადმე გამეცალეთ.
აღარ გეტყობა სიცოცხლე
და არც ამოგხდა სულით,
მაგგვარით ტანჯულ სიცოცხლეს
გქნეს აწ დასასრულით:
ხომ იცი ჩემი ამბავი:
ვიზრდები დღიდან დღეზე;
თვალში ჩხირივით მესობი
და თავი მომაბეზრე.
რიგი და წესი მოითხოვს
აწ რომ მომაპყრან ყურით,
სავაჭრო ასპარეზზედან
მეც მიძღვის სამსახურით
საზღვარ გარეთი—ინგლისი,
გემებით, შავი ზღვითაო,
მოვაბი ჭიათურაზე,—
მდიდარზე შავი ქვითაო.
ნავთსაყუდელი გავმართე,
ვაჭრობა გავადიდე,
მალთაყვის წყალზე სავლელათ
გავდევი რკინის ხიდეო.
პალიასტომის ტბა მინდა
სრუტით ზღვას შევაერთოო
და ამით საქმე ვაჭრობის
უფრორე გავაკეთოო.
და შენ, ვითომდა რა არის
ქალაქობ განა, რაღაო!?!
მომაკვდავი და ცოცხალი
ერთად ვინ გაასაღაო?
დროა რომ შემოგიერთო,
რაღას მიქვია ხათრიო!

ბათუმო, ,,ზაულიანო''
მსურს ფოთში გადმოგათრიო.
ვაჭრობა მაინც აღარ გაქვს,
და ხარ შემცქერი ქერჩისო.
მოვალ, დამიხვდი, აბა ჰა!
თუ რომ, ბიჭობა გერჩისო.

ფოთმა წაიღო ბათუმი,
იძახდა: „წიავ-წიავსა'',
ბათუმის მოთქმა,-გოდება
ზღვაზე გაქქონდა ნიავსა.
მისდევდენ მოკეთეები
ყივოდენ, ვით ,,ტარია'':
ქალაქის თავი, ტურული,
ივანე სეკრეტარია.
ანდრია, მიხა და პარმენ —
,,უპრავის დეკორაცია'',
მისდევს უკლებლათ, სრულიად
ბათუმის ფედერაცია.

ბლიკვაძე.



„ვაი ჭკუისაგან"

(იგავი)

ერთხელ ერთ რევვენს,
**(სახელათ ევგენს)**
გვარათ კი დვალსა
**(მეთორნეთ თვალსა)**
გასაოცარის გულდასმულობით,
კრილოვის დათვის მიბაძულობით,
**(რომელიც ხეებს**
**ამტრევდა თათით,**
**მაგრამ მოლუნვა**
**კი ვერ მივართვით),**
„გაზეთის" საქმე გამოუწყია,
რედაქტორობა თვით დაუწყია!!!
ან კი რა არის
აქ გასაკვირი?
რედაქტორობა საქმეა ხშირი!!!
დამჯდარა სტოლთან ქალალდით ხელში,
აზრები უხვათ ადგება ყელში,
და იტანჯება მწარე ტანჯვითა
ლექსებს იგონებს წვით და დაგვითა.

მწერლობის ჟინი,
ტვინის ხიცინი,
მუზა ჰგონია მას პოეტური.
**(ასე ბრიყვია ეს უბედური!)**
მაგრამ რომ ჰქონდეს ღმერთს სამართალი,
არ შეიბრალოს ევგენი დვალი?
მან კი პირიქით, სრულიად წარხოცა
იმის შუბლიდან კაცობის კვალი.
ბოლოს ფიქრებით განამწარებმა
**(ოდეს მოუკლეთ თავში ქარებმა)**
დაიწყო დვალმა „გაზეთის" წერა
**(ასე მოუვლის თურმე ზოგჯერა)**
გადაამჟღავნა
ათი ფურცელი...
და სისულელე წარმოუთქმელი
არ დარჩენია არც ერთი ცალი...
**(რედაქტორია ევგენი დვალი!!!)**
სრულ კმაყოფილი
თვისი მუზისა
გათენებამდე იმ სტოლს უზისა,
მაგრამ ვაფრინდა
სისხამ დილაზე,
(ხადაც ეგულვის თავართქილაძე.)
და რედაქტორი,
**ჭკუით კოტორი)**
მიდრეკილებით მესტამბის სწორი
გაზეთის ბეჭდვას მოელის მისგან
„ვაი ჭკუისგან,
**ვაი ჭკუისგან".**

ეშმაკი.



* * *

,,ეშმაკმა'' სთქვა: მაგრამ ვზივარ
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
გავიხედე სერზედაო
**იროდი** ზის ცხენზედაო!!!
ქორი სადღაც გაფრენია
**მდირათ არის მწყრებზედაო**
ის ბჭყვრიალა ნაფოტებიც
აღარ უჩანს მხრებზედაო.
დღეს ,,მამულის'' ბურჯი გახდა
,,ნიშადურის'' ბედზედაო
და საკითხმა ,,ეროვნულმა''
**„მოიყვანა ფერზედაო".**
როცა სხვაგან ბინადრობდა
ფერდი ეკრა ფერდზედაო

მაგრამ ახლა ,,ძველი მცნება''
იქით მისდევ გვერდზედაო
და მიტომაც დაასკუპეს
„კნიაზურათ" ცხენზედაო.

ტოროლა.



ქართველი მოღვაწეები.



მოსე ჯანაშვილი.

სხვა და სხვა დარგისა და ხარისხის იუმორისტები თუ ჩვეულებრივი მწერლები, თავისი თვალთა ხედვის წერტილის სრულ უსუსურობას იჩენენ, როდესაც ჩვენ სწორსა და მიუდგომელ ბიოგრაფიებს (ქართველ მოღვაწეთა შესახებ) რაღაც განზრახ ფაქტების დამახინჯებათ სთვლიან.

გარდა ამისა ჩვენს საზოგადოებაში ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ, რაღაც მიუტევებელ ცოდვათ რაცხენ მოხუც მოღვაწეთა შესახებ კრიტიკის დაძვრას გარე-

შე მათი ქებისა. ესეც არა ნორმალური მოვლენაა და ჩვენ რასაკვირველია ყურადღებას არ მივაქცევთ.

**1) მოსე ჯანაშვილი. როგორც ისტორიკოსი.**

მოსე ჯანაშვილი უკვე მოხუცი მოღვაწეა და არც თუ უბრალო მოღვაწე. ქართული ისტორია დღეს დღეობით თუ ბოგინობს, ეს სხვათა შორის მოსეს მეოხებითაც ხდება. ისტორიკოსობა არ არის ადვილი საქმე. დღე და ღამ ცხვირი ისტორიულ სიძველეში უნდა გქონდეს ჩარგული და იქ ასოებთან ერთად თვით ისტორიულ ნაშთთა სიძველესაც უნდა კითხულობდე.

მოსე ჯანაშვილი თითქო განგებას გაუჩენია ამ საქმისათვის და თავისი ხელობით გატაცებული ვგონებ ახალი ტანისამოსის ტარებასაც გაურბის. ენა მძიმე აქვს, როგორც კედლები ძველი ნანგრევებისა და მოუხეშავი. მან დასწერა რამოდენიმე „ისტორია საქართველოსი“ რომელიც შეიძლება ბევრ მკითხველთაგანს არა თუ ენახოს, კიდევაც წაეკითხოს.

**2) მოსე, როგორც გრამატიკოსი.**

სხვა და სხვა სიძველესთან ერთად მოსემ შეისწავლა ქართული ენაც მთელი თავისი ძირებითა და ფესვებით. და რომ თავისი ცოდნა ხალხს არ დაუკარგოს, ამ მიზნით გამოსცა ქართული ღრამატიკა. საზოგადოთ ჩვენში ქართული ენის საფუძვლიანათ არავინ დაგიდევს, რისთვისაც ღრამატიკა ყოველგვარი, უცხო ხილია, ხოლო ღრამატიკა მოსე ჯანაშვილისა მით უმეტეს.

**3) მოსე როგორც მწერალი.**

სიმართლე მოგახსენოთ ამ ასპარეზზე მოსე ჯანაშვილს არც თუ მაგდენი ღვაწლი მიუძღვის. მხატვრულ მწერლობაში, თუ დაუჯერებთ შესახებ ამისა არსებულ ცნობებს, ის უფრო პოეზიის მომხრე იყო და ლექსებიც განსაკუთრებული კონსტრუქციისა იცოდა. ნამდვილი მისი ნაწარმოები ჩვენ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ვიცით კილო მისი პოეზიისა, რის სანიმუშოთაც მოვიყვანთ რამდენიმე კუპლეტს ცნობილი ლასურიძის პოემიდან.

**პ ო ე მ ა**

„თამარ მეფე“

,,არს მცხეთს მყოველი,
ღმერთ-საყოფელი,
სვეტი ცხოველი,
ცხოველ მყოფელი;
და კვართი უფლის
მუნ რომელ ეფლის
ივერს არ დაფლის
ათავისუფლის‘‘.

ამგვარივე ლ.ექსები იბეჭდებოდა ერთ დროს როსტ.იმაშვილის ცნობილ ჟურნალ ,,მოგზაურ..ი‘‘, სადაც სხვათა შორის იყო აწერ..ილი კახეთის მეფე კვირიკე:

კ..ხეთის მეფობდა კვირიკე,
ხი..ლით არ სვიპტსა ეპყრა რიკე და სხ.

ერთი სიტყვით ბელეტრისტიკასა და პოეზიაში მოსე ჯანაშვილს იმდენათ თვალსაჩინო ადგილი არ უჭირავს, როგორც ისტორიასა და ღრამატიკაში

ჩვენი მოხუცი ისტორიკოსი თუმცა
,,ორმოც და ათმა წელმა მოლუნა
კისერში მაგრა ჩაუკაკუნა‘‘.

მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღათ არის და ერთი ,,ნაშრომი‘‘ წიგნაკი ილიას სიკვდილის შესახებ აგერ გუშინაც გამოუშვა.

ისტორიკოსი.

---

**ხიმღერა გარე-კახელი „სტარშინასი“.**

ჩაგრულთ მოსარჩლემ ჩანგი მოვმართე
და ვდაღადებდი მე სიმართლესა...
მაგრამ, რაც სოფელს საქმით დავმართე,
მოეხსენება ყუველას ესა.

უხვათ ვაფრქვიე ტკბილი სიტყვები;
ვგმობდი მუხთლობას და სიღარიბეს,
მაგრამ... მე ხომ არ გავბრიყვდებოდი?
მხოლოთ სხვებისთვის დავწერე ესა...

ზოგს ვცემ, (ჩუუისთვის!) ზოგს სახლ-
კარს უქცევ;
ვნავარდობ ასე მე ყოველ დღესა,
ჩემ ძმა კაცებს კი არაფერს ვაკლებ,
მამასახლისის წესია ესა..

მინდა რომ ვიყო სოციალისტი,
გულს მიწუღულებდეს ბედკრულთა კვნესა,
მაგრამ... საჯობია ასრულდეს „ლისტი“
მთავრობა რომ არ განაწყენდესა...

გლეხთ განათლება მინდა მწყურია
(ცოდნის დავგარათ) ვარიგებ ძმებსა,
მაგრამ რას იზამ სამსახურია
მე თუ ვერ ავცდი უკუღმართ გზებსა.

ია ქუაძე.

---

**ხ ე ვ ი დ ა ნ.**

(ორი აკროსტიხი)

**ვ**ეღარა ვმკი ძველებურად
**ა**რ მოგიკვდესთ ჩემი თავი,
**ნ**ამეტანმა სიხარბემ და
**ო**რგულობამ მომდო „კავი“.

2.

**ი**ქითაც, ვარ აქეთაც ვარ
**ა**რც მწვადსა ვსწვავ არც შამფურსა,
**გ**ონივრულათ კი ვიქცევი
**ო**ხრებს რათ დავუგდებ ყურსა,
**რ**ას მიქვიან ამხანაგი!!!
**ა**რ სჯობს ვემსახურო ფულსა?

**მთიელი.**



**წერილები ეშმაკისადმი.**

I

ლეჩხუმიდან.

ძმაო ეშმაკო! გატყობინებ, რომ რაჭველები დიდათ მადლობენ ვიქტორ და კირილე ჯაფარიძეებს, რადგან მათს მამაცურ ყარაულობას ამ ერთ წელიწადში ვერც ერთი „ერთობის“ ბიჭი ვერ შემოეპარა და რაჭის საზღვარზე ბარე ორს გაართვეს სისხლი! ამ ჟამათ ეს ორი ყმაწვილი ხან..რძლივი ,,შეჩახმახებული‘‘ ყოფნის გამო, ცოტა მოქანცულათ გრძნობენ თავს და თფილისში არსებულ, ეგრეთ-წოდებულ: ,,რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე ჯგუფს‘‘ ,,ოტპუსკსა‘‘ სთხოვენ მოსასვენებლათ.—მოციქულათ ამ საქმეზე დანიშნულია სადმელელი (სოფელია)...... კერესელიძე და თუ რაჭველების გულის მოგება გინდა იმასაც, ერთი შენი მათრახის კუდი ამოუჭირე, რადგან ვერ აწარმოებს საქმეს კარგათ......

—

**ჭყვიში.** როცა მოციქულ კერესელიძეს მისცხოდა მისცხო, მერე ჭყვიშელ (ლეჩხუმშია გლეხებსაც ნუ გაუტეხ ხათრს და ერეკლე ცხვედიანს უჭირე და უჭირე! ამას იმიტომ გეხვეწებიან, რომ ერთობ თავისებურობა დასჩემდა და იქნებ რამე გვარად მოიშალოს! ერთი სიტყვით შენ იცი და შენმა მათრახმა, თვარა წაგვივიდა კაცი ხელიდან და მერე ნეტავ იცოდე რავარი კაცი! „პირველათ, რომ „ერთობა“ შამევიდა ჩვენში—ამბობენ გლეხები, იმან პირველმა მოაწერა ხელიო!“ მართალია ეს ხელ-წერილი ალიხანოვის დროს რომ სახლები დაწვეს იმაში ჩაიწვა, მაგრამ ერეკლე მაინც კაი კაცია და შარშან, რომ ოთხ თვეს იყო დაკარგული, თურმე სულ „ნამარნევის“ მონასტერში ლოცულობდა: „ახალ-ათონს“ არ უღალატო და ბოლომდე მისი ერთგული დავრჩე ისე, როგორც მელიტონ გარდაფხაძეო!‘‘ მონასტერში მიღებული ფიცის შესრულებას ერეკლე ისე მტკიცეთ აპირებს, რომ სახლის ჭერში სიმაგრეები მოაწყო და

საქმე კარგა… მიდის თუ რასაკვირველია მათრახის კუდმა გასჭრა………

—

**გენუეში.** ერეკლეს შე… ოგგ ნურც ჩვენ დაგვივიწყებთ, შამოგითვალ… ის გენდუ შელია (სოფელია) გლეხებმა! ამათ, … მეტად გულშემატკივარი თავადი მიხეილ… სულიერათ ავათ გახდომიათ და ამ სამ წელიწადში გარდაფხაძეების გარდა ყველას თოფს უნიშნავსო.—როგორც ამბობენ ყველა წამლები თურმე უცდიათ და ახლა მხოლოდ შენი მათრახის კუდის გადაწვენა აკლია, რასაც იმედია არ დაიზარებ.

—

**ქოშხა.** მიხეილის განკურნვის შემდეგ შენი მათრახიანა ქოშხას ჩამოირბინეო, გთხოვენ ქოშხელები (სოფელია). აქ, როგორც შენი პატიოსანი თვალით ნახავ, თითოჯერ თითქმის ყველა იყო ერმილე გელოვანის პატივის საცემლათ ცაგერის სატუსაღოშიდა შემდეგ გროშებიც მიართვეს ერმილეს, რადგან უამისოთ ბ… არ დათანხმდა განთავისუფლებას! ეხლა რა კი ერთი რიგი გაილია, რა თქმა უნდა ერმილე „ბეგარას“ ისევ თავიდან დაიწყებს! ამიტომ გეხვეწებიან ერთი მაგრათ სტკუცო მათრახის კუდი იმასაც და მისს…. მაგრამ აწ კი სუ……

**ნაცნობი.**

„წავიკითხე სიამოვნებით“. **ეშმაკი.**

### სოხუმიდან.

ძმაო ეშმაკო, შენ იწერებოდი იმის შესახებ, თუ როგორ ეძებდენ ქუთაის-ბათუმის თავები მიკროსკოპით ფულებს კასებში, სოხუმზე კი არაფერს ამბობ.

სოხუმის ქალაქის თავმა კნიაზმა ნიკომ სამი მიკროსკოპი დაამტვრია კასაში ფულის ძებნის დროს, მაგრამ არ იქნა, ერთი კაპეიკიც ვერ აღმოაჩინა და ბოლოს ისევ მცხოვრებლებს მიმართა პოლიციის საშუალებით. შენ, ეშმაკო, ყოველგან დანავარდობ, მაგრამ, რაღაც მიზეზით, სოხუმს გვერდს უვლი, ალბათ ზღვით მოგზაურობა არ გინდა. შე ეშმაკო შენა!' ალბათ გინდა ჩვენი ნიკოს რკინის გზით ჩამოხვიდე პირველათ შენ? ნიკოს რკინის გზა, სულ რომ ვიანგარიშოთ, ამ სამ თვეში არ გაკეთდება და შენ კი, მართალი უნდა გითხრა აქ ძალიანი საჭირო ხარ. აი მაგალითად, შენი თვალით დაინახავდი რომ ქალაქის კასის ექსპროპრიაცია მოუხდენია ორ-ფეხიან ვირ-თაგვებს. მართალი გითხრა, კრიტიკული მდგომარეობაა. ჩვენი თავი ძლიერ უქეიფოთ არის, მაგრამ რა გაეწყობა! ქალაქის თვითმართველობა გაპროლეტარების გზას დაადგა, ვიმედოვნებთ, რომ სოციალისტური მოძღვრების ნიადაგი მზადდება უწინარეს ქალაქის თვითმართველობიდან. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან იქ მოსამსახურენი ყველა „სოციალისტები“ ბრძანდებიან. სოციალ-კადეტები, სოც.-ფედ., სოც.-ავტონომისტები …ა კიდევ სხვა ბევრგვარი სოციალისტები. … …ათ კი არ წერდა ერთი ს.-ფედერ… ტყუილ… …იორე დუმის არჩევნების წინ: რალისტი ს… …ალისტები ჩვენ ვართო, ნამდვილი სოცი… …ან! ამნაირათ არის, აკი მართალი ყოფილ… ეშმაკო, ჩვენ… საქმე და აწი მაინ… იმედია, გვინახულ…ებ. რან ერთი სათხოვარი მაქვს შენთან: …შენ გეცოდინება, რომ ჩვენი ნიკო ძალი… …ნი დახელოვნებულია სესხის აღებაში, მაგ… რამ სესხის აღება შეუძლია პეტერბურგში და სამგზავრო ფული არ გვაქვს. შენ თუ ჩამოინავარდო სოხუმისკენ, წამოიღე ფულ…ები და პროცენტს ბლომათ მიიღებ მომავალ ანგარიშზე.

მარად **შენი სან-დონი.**

Прочелъ съ удовольствіемъ. **ეშმაკი.**

### ჯურუყვეთიდან.

არ იქნა და არ მორჯულდა ჯურუყვეთის საზოგადოება! რაც უნდა „დეზინფექცია“ უქნა კაცმა, მაინც არ გაიწმინდება იქაურობა მავნე პირებისაგან. კიდევ გამოჩენილა 17 მავნე პირები, რომელნიც ცდილობენ სახელმწიფოს პირ უკუღმა გადაბრუნებას. მაგრამ სირია მგონია სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ამ საშინელ სენს. აი თუ არ გჯერათ წაგაკითხებთ მის მოწერილ ბარათს ჩემდამი, რომელიც მეხვეწება ჩემი თავი გაზეთში ჩააწერინეო, რომ იქიდან ისტორიკოსსაც არ დაავიწყდეს ჩემი ვინაობა. თუმცაღა ასეთი წერილები ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერე მივყვეთ თავიდან.

„მის მაღალ-ბრწყინვალებას ნიბლიას“, ეწერა კონვერტზე და ცოტა არ იყოს ეჭვი შემივიდა ოფიცერობრივი ბოქაული არ ვეგონო მეთქი. ,,ჩემზე დიდი მითქმა-მოთქმა არის სოფელში. ეხლანდელ დროში, ბ-ნო ჩემო, რაიმე ხელობა აუცილებელია კაცისათვის და მეც ასეთი ხელობა ვირჩიე. თუმცაღა ბევრს სცხვენია ამ ხელობისა მაგრამ რა სასირცხვოა თუ ღმერთი გწამს? ეს 17 კაცის საქმე ღმერთი რჯულის ავი გულით არ მომსვლია და არც დიდ დანაშაულობათ უნდა ჩამეთვალოს. შე კაი კაცო მთავრობა სულ ჩვენ გვახდიებს და ცოტა ხომ იმასაც უნდა წავართვათ?! ,,ყვავს კაკალი გააგდებიე და ისიც კარგიაო“ ამბობს ანდაზა. ვინ იცის იქნება ცოტა გროშები გამოვიდეს. მაინც დიდი ეშმაკი ყოფილა ეს ხალხი, ხელათ გაიგეს ჩემი საიდუმლოება! რადგაც ჩემდა საუბედუროთ ,,ქახალდში“ გამკვეხებია პავლე ბუაძე, (მეთომ. რომ ერთხელ მგონია გამლახა) სულ ცოდვილო, თურმე პავლე ბუაძე ორი ყოფილა აქ, როდესაც მოწერილობა მოვიდა და კაცებს იბარებდენ, ლაპარაკი გაჩნდა, თუ რომელი პავლე იყო დასაბარებელი და ბოლოს რომ ვერავინ გაიგო თუ რომელი იყო, მე წამოვიძახე თუ რომელიც იყო; ასეთი საშინელი კურიოზი დამემართა იმ დღეს ხალხში. მაგრამ ამას არაფე… …ლოდ გამოვასწორებ.

რია …  თქვენი ყირია გ—შელია.

…ნ …ყონია, მეუბნება გადამეკიდა პლატ… …ღონს … ,,ჩემს ბიოგრაფიაში ბევრი რა… …ს სანიშნავი გამოჩენილაო, მაგრამ ერთ… გამოტოვება მაინც არ შეიძლებაო, როდესაც საზღვარ-გარეთიდან ჩამოვედიო, ყველას რომ თავი დავანებოთ, ნიორის გაკეთება ხომ მაინც სპეციალურათ შევისწავლე, მოვინდომე აქაურ გლეხკაცებს გაბედნიერება ნივრის კეთების საშუალებით, მაგრამ რა მექნა, ბოიკოტი დამადევს და როგორ მოვეწყო ხელი მათო. იმედია ამას არ გამოტოვებთ ჩემს ბიოგრაფიაშიო“. რა ვუყოთ, იმ კაცმა თუ სწავლა-განათლება ვერ მიიღო საშუალოთ ნიორის გაკეთება სცოდნია, არ ვიცით ამისთვის დაადევს მას ბოიკოტი?

ნიბლია.



**ჩვენი დროის რაინდები.**

ბრწყინვალე წოდებისა ვარ,
აზნაურებში რჩეული,
დიდ კეთილ ადამიანობისა
ძველთაგან გამორჩეული.
თვალ-ტანად არვინ მჯობია
ათასში გამორჩეული,
ჩინოვნიკიც ვარ, ხომ იცით,
ბიუროკრატი ეული.
ხელიკანთ უხუცესი ვარ,
უველასკან კარგათ ცნობილი;
შავრაზმელთა მთავარ სარდალთა
დეკანოზსაკან ცხებული.

მუდამ ქედმოხრილი დედაბრის,
მტრის მიერ შეშინებული;
ახლა მომავლის ქუჩებში
და დამალულების სხეული.
დროა შენ გულით იცხადო,
განდევნილი ფეხვეში;
ჯერ მტერმა ხელში ჩაიგდო
ქალაქი, ღელე, სოფელი.
ერთით შემოურბენ მმართველნი,
ერთმანეთის მისცეს მხარი;
მე კი, ვითარცა ჯაშუში,
თავზე ლამაზი ზარი.
ჯერ მოლხენებით აროდნას
„თითქმის შევწიროთ თავიო,
იმ წლის შრომამ მოიტანა
„მადლობა ღმერთს."
რა დაიწყო მოძრაობა
თავის ცოცხლად აღარ ვთვლიდი;
მთელს მხარეში ვერ ვხედავდი,
შიშმილით თავს ქვას ვახლიდი.
შეუსვენრად დავძვრებოდი,
წელ-მოხრილი, ჩუმი, ფლიდი;
შეუმჩნევლათ ცხობებს ვკრეფდი
„დანოსის" ვწერდი ვაგზავნიდი
კაცსა და ქალს არ ვზოგავდი;
არ ვიცოდი ცოდვა, რიდი:
და ჰა, კიდევ ჩავუშალე
მათ „ერთობის" გზა და ხიდი!
ხულიგანთა ჯგუფი შევკარ,
დამსჯელ რაზმებს შევურიგდი,
მთელი მხარე მოვატარე,
და მოვცოცხლდი, ჰაი ჯიდი!
რა რომ ნაცვრა ამისრულდა.
ავიღუღრინე, როგორც მგელი
და ბუნებიან განვიმარტე
ყოფილიყო ფიქრი, დარდი.
ხალხი ეცა გვარდიელებს,
აიღეს ზურგზე ბარგი:
ბოროტებას დაშორდნენ,
დრო მობრუნდა ისევ კარგი
და ამ გვარად მთელი მხარე
ხომ ჩაუგდე განსაცდელში;
მერცხალი კლდე-კაცობა
მოიხარა, მოტყდა წელში
თუ ვინმეს ჯიბე მკვირდა,
წავუჭირე ხელი ყელში;
მთელი მხარე ცხვრის დუმით მაქვს,
ბასრი დანა მარჯვენა ხელში!
ვისაც მინდა, მას დავკარგავ,
სტრაჟნებს შევხვდი ბვერის სოფელში;
ვისაც მსურს, მას გავამართლებ,
ასიანი თუ აქვს ხელში.
დაილოცა ეს დროება,
ქრთამით გავიმართე წელში...
დავიწყებ კი არ მწირის,
სულ ავჭავჭავ ფიცხელ ხელში!

დღემდის ყველა ასე შევსძელ,
თუ რომ აწი გავიხარე:
ხალხის დევნით სწორეთ დავსწვები,
თუ არ დარჩა ბოლოს მწარე...
კასრულ წელში მე ავდექი,
მთელი მხარე დავიარე:
მავრაზმელი პროვოკატორი
გავუგზავნე მთელი მხარე.
ზოგან ტაბილით ვუქადგე
ზოგანაც ვთქვი სიცოცხლე მწარე
და ხალხისთვის წარმოუდგენელი
სხვამ ამაზე არ დრო გაგატარე...
მაგრამ ვიცი, არ შემრჩება
ეს ქებული „კამერჯვება",
რადგან ხალხი ისევ იბრძვის,
და ვინ იცის, ...

კურიანტელი.

# დეპეშები.

**ოზურგეთი.** ოზურგეთის გამოყოფამ და ტოლმაჩევის გენერალ გუბერნატორათ დანიშვნამ ძრიელ გაგვახარა—გუბერნატორს პურმარილით შეხვდენ ნატანების ხიდზე—მოედანზე გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. მაზრის უფროსმა ერმოლოევმა შუამდგომლობა აღძრა გადასახლებულების დაბრუნების შესახებ.

**ონი.** ადმინისტრაციის განკარგულებით ონის მაზრა (ანუ რაჭა) გაიყო ხუთ რაიონათ და თითოეულში დაინიშნა თითო გენერალ-გუბერნატორი. სამივე ადგილი ცნობილ სტრაჟნიკებს მისცეს.

**ჭოკნარი.** (გურია) ჭოკნარის საზოგადოება და მასთან ერთად ნაწილი ზემოხეთისა ახლო მომავალში ცალკე საგენერალ-გუბერნატოროს შეადგენს. გუბერნატორის თანამდებობაზე თხოვნა მიუცია შარშან სალდათობიდან დაბრუნებულ ქუთახელს.

**გორი.** ერა ფედერალისტი ხმოსნები დაჟინებით მოითხოვენ ფედერალისტი მეგობრებისაგან: „რაკი თქვენ გაიჩინეთ თქვენთვის კარგი თბილი ადგილები გემნაზიაში და ბანკში, ახლა ჩვენთვინაც მოიგონეთ რამეო". არ ვიცით საქმე რით გათავდება.

**ბახვი.** ქვედა ბახველი „სოციალისტები" სწორეთ იმ დღეს შიდიან „ნადზე" გოგოტიშვილისას, როდესაც ეს უკანასკნელი სხვის ძროხას კლავს ხოლმე. საზოგადოთ აღნიშნული „სოციალისტები" ცნობილნი არიან როგორც „მუშა" ხალხი.

**ოზურგეთი.** გურიანთელი ვაჭარი, ერთ დროს მსხვილი, ეხლა წვრილი, თავისი წიწილი შერბაკოთი სასტიკ პროტესტს უცხადებს რობაქაძულ ვაჭრების დადგენილებას კარტ-ნარდი, კამათელის თამაშობის აკრძალვის შესახებ. ყველა ეს შეიძლება და ძრიელ სასარგებლოც არის მეტადრე თუ დუქნის უკან ოთახში ხამ მოთამაშეებს შეიტყუებ და მათ ფულებს შენს ჯიბეში კონცენტრაციის უზამ ამით ხელს უწყობ პროლეტარიზაციას...

# ქართული წარმოდგენის განცხადება.

ვისაც გინდა ძილით,
სახლები გვაქვს თბილით,
ნანინას მოგახსენებს
დასი გამოცდილით.
ვისაც გტანჯავს ხვედრით
ან სხვა ხათაბალით,
უკეთესს ვერის იხამთ
აქ მობრძანდით ყველამ.
თუ კი გაქვთ ბალისით
ატარეთ ბალიშით.
სხვაგან არსად შეხვიდეთ
ამისი ვვაქვს შიში.
არცა თუ ხრაგუნია
ვიციით დასაწუნია,
მობრძანდით ღვთის გულისთვის,
გთხოვთ არტისტი გუნია.

ჭოჭ!



# „ეშმაკის მათრახის" ფოსტა.

**ქუთაისი.** პილპილას. თქვენი ლექსი „გამოცანა" ჩვენ არ დავბეჭდით, მაგრამ მოუხედავათ ამისა თქვენი საქციელი არ შეიძლება საკადრისად ჩაითვალოს. თუ თქვენ „ნიშადურში" გააგზავნეთ, ჩვენ რაღას გვიგზავნიდით და თუ ჩვენ გამოგვიგზავნეთ იქ რაღას აგზავნიდით, ვიდრე ჩვენს პასუხს შეიტყობდით. თუ ყველა გაზეთებში გინდოდათ ერთსა და იმავე დროს მოთავსება თქვენი გამოცანისა, ნურას უკაცრავათ; მაგრამ არც ამდენის ღირსია.

**ხონუში.** საშა გო—შიას. თქვენ იწერებოდით: ჩემი აზრი და მიმართულება არ არის „ნიშადურის" მიმართულებისაო" და გვთხოვდით თქვენი ლექსი დაგვებეჭდა. თქვენი ლექსი ვერ გამოდგა სავარგისი, თუმცა სოხუმის ქალი ის თავი, ფრიად საინტერესო ტემაა. ახლა თქვენ ისევ აგზავნით „ნიშადურის" ნომრები, თუმცა იქ თქვენ უკეთა სწერთ რაღაცა. ეიძლება თქვენ მაგიერ „ნიშადურის" რაინდი სწერდეს?

**ახალ-ხანაკი.** № I-ს. თქვენი წერილი ჩაბეჭდილია, მაგრამ რატომ თქვენს ვინაობას არ გვატყობინებთ? სამწუხაროთ მანამდე წერილი არ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.